


# იაპონიის რეგიონები

ისტორიული დაყოფისა და თანამედროვე ადმინისტრაციულ საჭიროებათა ნაერთი



იაპონიის არქიპელაგი უმეტესწილად მთაგორიანი კუნძულოვანი სისტემისგან შედგება, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით 2800 კილომეტრზე. იაპონიის სახმელეთო (ფართობი - 377,950 კვ.მ., 2010 წლის მონაცემებით) ფართობი სიდიდით უმნიშვნელოდ აღემატება ფინეთისა და იტალიის მოცულობას. იგი დაახლოებით აშშ-ს მონტანის შტატის ზომისაა. იაპონიის ოთხი ძირითადი უდიდესი კუნძულია ჰოკაიდო, ჰონშუ, შიკოკუ და კიუსიუ. იაპონიის მოსახლეობის რაოდენობა 2013 წლის სექტემბრისთვის შეადგენდა 127.27 მილიონ ადამიანს.

### ჰოკაიდოს რეგიონი



თოვლის ფესტივალი  
საპოროში  
(ფოტო AFLO-სგან)

ჰოკაიდოს რეგიონი მდებარეობს იაპონიის ოთხი ძირითადი კუნძულიდან ერთერთზე, სიდიდით მეორე და ჩრდილოეთით მდებარე კუნძულ ჰოკაიდოზე და ასევე მოიცავს რამდენიმე მიმდებარე პატარა კუნძულს. ჰოკაიდო სამხრეთიდან კუნძულ ჰონშუსგან გამოყოფილია ცუგარუს სრუტით (ჰოკაიდო ჰონშუს უკავშირდება წყალქვეშა გვირაბში გამავალი სარკინიგზო ხაზით). ჰოკაიდოს კლიმატი საგრძნობლად განსხვავდება დანარჩენი იაპონიის კლიმატისგან. ზაფხულისთვის ზოგადად დამახასიათებელია სიგრილე, ხოლო ზამთარი სუსხიანია. ჰოკაიდოზე განფენილი მთაგორიანი მასივი გამოირჩევა ბუნებრივი სილამაზით, პირველქმნილი ტყეებით, მოქმედი ვულკანებითა და დიდი ტბებით. აღმოსავლეთ ჰოკაიდოში მდებარე კუშიროს ჭანჭრობი ცნობილია, როგორც სამოთხე გადამფრენი ფრინველებისთვის, კერძოდ, იაპონური წითელბიბილოიანი წეროებისთვის. 2005 წელს მსოფლიო მემკვიდრეობათა ნუსხას დაემატა ჰოკაიდოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შირეტოკოს ნახევარკუნძულის გარკვეული ნაწილი. ჰოკაიდოზე პირველი დასახლება უკვე XVI საუკუნეში გაჩნდა, როდესაც იაპონელებმა ადგილობრივ ინუ მოსახლეობასთან სავაჭრო ურთიერთობები წამოიწყეს, თუმცა კუნძულის ფართომასშტაბიანი განვითარება XIX საუკუნის ბოლოს, მეიჯის მთავრობის მიერ დაიწყო.

ჰოკაიდოს სოფლის მეურნეობის უმთავრესი დარგებია მეთევზეობა და მეტყევეობა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კუნძულის სამრეწველო დარგების განვითარებას, კერძოდ, კვების მრეწველობას, ხე-ტყის და მერქნის გადამამუშავებას, ასევე ქაღალდის წარმოებას. დედაქალაქი საპორო ცნობილია თოვლის ფესტივალით, რომელიც თებერვლის დასაწყისში აღინიშნება სხვადასხვაგვარი ყინულისა და თოვლის ქანდაკებების წარმოდგენითა და საკმაოდ მიმზიდველი სანახაობაა. ჰაკოდატე არის ჰოკაიდოს სამხრეთში მდებარე უდიდესი ქალაქი, რომელიც განთქმულია ლამის უმშვენიერესი ხედებით. იაპონიის პრეფექტურების სისტემის ფარგლებში მხოლოდ ჰოკაიდო არის კატეგორიზებული, როგორც „ოლქი“, თუმცა თანაფარდოვანია პრეფექტურასთან.

## ტოკოკუს რეგიონი

ტოკოკუს უმეტესწილად მთაგორიანი რეგიონი მოიცავს მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ იაპონიას. ამ რაიონის ცენტრალური დასახლებული პუნქტები ძირითადად განლაგებულია წყნარი ოკეანისა და იაპონიის ზღვის სანაპირო ზოლებსა და აუზებში. რეგიონისთვის დამახასიათებელია ზაფხული და ხანგრძლივი ზამთარი, რასაც ამრავალფეროვნებს მომწუსხველი შემოდგომისა და გაზაფხულის დროები. აომორისა და აკიტას პრეფექტურების შირაკამი სანჩი ცნობილია უძველესი წიფლის ხეების ტყით, რომელიც 1993 წლიდან შევიდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

ტოკოკუს რეგიონში განვითარებულია მეურნეობა. აქ დამუშავებული მიწის 65%-ზე ბრინჯის მოსავალი მოჰყავთ, რაც ქვეყნაში არსებული ბრინჯის ყანების ერთ მეოთხედზე მეტია. თუმცა, ხშირად ხდება, რომ მოულოდნელი ცივი ზაფხული მოსავალს ანადგურებს. მნიშვნელოვანია ისეთი დარგები, როგორცაა მეთევზეობა და მეტყევეობა, სამრეწველო საქმიანობა, ელექტრო მოწყობილობებისა და ქიმიკატების წარმოება, მერქნის ცემენტისა და ნავთობის გადამუშავება, საწვავისა და ბუნებრივი აირის წარმოება. ტოკოკუს უდიდესი ქალაქია სენდაი.

იაპონიის სამი ყველაზე ღირსშესანიშნავი ადგილის ნუსხაში შედის მიიაცის პრეფექტურაში არსებული მაცუშიმაც, რომელიც შედგება 260-ზე მეტი მცირე ზომის კუნძულისგან. იაპონიის უკიდურეს აღმოსავლეთში მომხდარი 2011 წლის მიწისძვრის მიერ მიყენებული ზარალი ამ ადგილის უნიკალური გეოლოგიური თავისებურებების წყალობით საგრძნობლად ნაკლები და უმნიშვნელო იყო. სენდაიდან მაცუშიმამდე მატარებლით დაახლოებით ნახევარი საათის სავალია. ზაფხულის განმავლობაში ტოკოკუს რეგიონში ტარდება სამი მრავალფეროვანი ფესტივალი:

აომორისა და ჰიროსაკიში ტარდება ნებუტა მაცური; სენდაიში - ტანაბატა მაცური და აკიტაში - კანტო მაცური.

## კანტოს რეგიონი

კანტოს რეგიონი მდებარეობს კუნძულ ჰონშიუს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში და ძირითადად წარმოადგენილია ამავე სახელწოდების მქონე და იაპონიის ყველაზე განიერი კანტოს დაბლობით. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატი ზოგადად ზომიერია და წელიწადის ოთხივე დრო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. კანტოს რეგიონში გაშენებულია იაპონიის უდიდესი ქალაქები: ტოკიო, იოკოჰამა, კავასაკი და ჩიბა, და შესაბამისად, წარმოადგენს იაპონიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს.

კანტოს რეგიონის ტოკიო-იოკოჰამას რაიონი წარმოადგენს იაპონიის კომერციისა და ინდუსტრიის ცენტრს. კერძოდ, იაპონიის უდიდეს ინდუსტრიულ ზონას წარმოადგენს კეიჰინის ინდუსტრიული ზონა და კეიოს ინდუსტრიული რაიონი, რომელიც ტოკიოს ყურის სანაპიროს გასწვრივაა გადაჭიმული.

ტოკიოს ცენტრიდან 2 საათის სავალ მანძილზე დაშორებული უბნები თანდათან ფართოვდება, რაც იწვევს კანტოს რეგიონის უმეტესი ნაწილის ურბანიზაციას. თუმცა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ზოგადად მცირდება, განსხვავებით აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეებისგან, სადაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

ტოკიო არის იაპონიის დედაქალაქი. აქ განთავსებულია უმსხვილესი კორპორაციების, უცხოური კომპანიებისა და მასმედიის სათაო ოფისები. ტოკიო წარმოადგენს საგანმანათლებლო ცენტრს. ქალაქი ცნობილია, როგორც კულტურისა და გასართობ ღონისძიებათა ცენტრი. იგი გვთავაზობს ტრადიციულ და თანამედროვე მრავალფეროვანი ხელოვნების საინტერესო სინთეზს. კლასიკური და პოპულარული მუსიკის მოსმენა შეიძლება ტოკიოს სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში. ტოკიოში თავმოყრილია უამრავი მუზეუმი თუ სამხატვრო გალერეა. ქალაქის ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად გაწერილია სპეციალური ავტობუსების განრიგი. კერძოდ, ავტობუსი, სახელწოდებით „ჰატო“ (მტრედი), მიდის ისეთ ცნობილ ადგილებამდე, როგორცაა: ტოკიოს ანძა, გინძა და ასაკუსა. ასაკუსაში იმართება უამრავი ტრადიციული ღონისძიება და ტარდება სხვადასხვა ფესტივალი, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ძველი ტოკიოს სული. საკუთრივ ტოკიოს მეტროპოლია შედგება ურბანული ტოკიოს 23 ადმინისტრაციული დანაყოფის, 26 დიდი ქალაქის, 5 ქალაქისა და 8 სოფლისგან.

## ჩიუბუს რეგიონი

ცენტრალური ჰონშიუს ჩიუბუს რეგიონი უკავშირდება როგორც წყნარ ოკეანეს, ასევე იაპონიის ზღვას. კლიმატი საგრძნობლად იცვლება ადგილმდებარეობის მიხედვით; თუკი იაპონიის ზღვის მხარე დიდთოვლიანობით გამოირჩევა, წყნარი ოკეანის მხრიდან მთელი წლის განმავლობაში ზომიერი კლიმატი დომინირებს. ზაფხულში, დასვენების სეზონზე, ზეგანზე გაშენებული ზოგიერთი ქალაქი პოპულარული ხდება დამახასიათებელი გრილი კლიმატის გამო. ჩიუბუს რეგიონის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე გადაშლილია იაპონიის ალპები, ძალიან მაღალი მთებით და, ალბათ, ამის გამოა, რომ მათ „იაპონიის სახურავს“ უწოდებენ. ჩიუბუს რეგიონში ჩაედინება იაპონიის ყველაზე გრძელი მდინარეები და აქვე მდებარეობს იაპონიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ გაშენებული ბრინჯის მაწარმოებელი უდიდესი პლანტაცია. აქვეა განლაგებული სამი ძირითადი ინდუსტრიული რეგიონი: ჩიუკიოს ინდუსტრიული რეგიონი, რომელიც არის ტოიოტა მოტორსის ძირითადი ბაზა.

ტოკაის ინდუსტრიული რეგიონი, სადაც მდებარეობს იამაჰას ბაზა და ჰოკურეკუს ინდუსტრიული რეგიონი. გარდა ბრინჯისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს განეკუთვნება აგრეთვე ჩაი, მანდარინი, ფორთოხლი, მარწყვი, ყურძენი, ატამი და ვაშლი.

ჩიუბუს მთაგორიანი რეგიონის ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა ფუჯის მთა. ეს იაპონიის ყველაზე მაღალი (3,776 მეტრი ან 12,388 ფუტი) და ცნობილი მთაა, რომელსაც ზოგიერთი იაპონელი წმინდა მთად მიიჩნევს. მთის კონუსისებური ფორმა უამრავი მხატვრისა და პოეტის მთაგონების წყაროა და მსოფლიოში ცნობილია, როგორც იაპონიის სიმბოლო. 2013 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ფუჯი შეიყვანა მსოფლიო მემკვიდრეობათა ნუსხაში, რადგან ის წმინდა მთად არის აღიარებული იაპონიაში და ამასთან, ხშირადაა ასახული

ტრადიციულ იაპონურ უკიო-ეს გრავიურებში. ფუჯისანს ბევრი მომლოცველი ჰყავს და გააჩნია 25 ღირსშესანიშნაობა, რომელიც განსაზღვრავს მისი სიწმინდისა და მხატვრული ღირებულების არსს. ალპინიზმის სეზონზე, რომელიც გრძელდება 1 ივლისიდან 31 აგვისტომდე, მთა ალპინისტებით ივსება. ჩიუბუს რეგიონის სხვა ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია იძუს ნახევარკუნძული შიძუოკას პრეფექტურაში, გავრცელებული სუბტროპიკული კლიმატით, ულამაზესი ზღვის სანაპირო ზოლით და დიდი რაოდენობით ცხელი წყაროებით; აღსანიშნავია, ძენკოჯი ნაგანოს პრეფექტურაში, რომლის ცნობილი ტაძარი უამრავ მნახველს იზიდავს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

### კინკის რეგიონი



ამანოჰაშიდატე კიოტოს პრეფექტურის ჩრდილოეთში (ამანოჰაშიდატეს ტურიზმის ასოციაციის ფოტო)

იაპონიის მრეწველობის მხრივ მეორე ადგილზეა კინკის რეგიონი, რომელიც მდებარეობს კუნძულ ჰონშიუს ცენტრალურ დასავლეთ ნაწილში. კინკიში მდებარეობს იაპონიის ძველი დედაქალაქი კიოტო. აქვეა ქალაქები ოსაკა და კობე (იაპონიის უმნიშვნელოვანესი პორტი), რომელიც წარმოადგენს დასავლეთ იაპონიის კომერციულ ცენტრს. ბრინჯისა და ციტრუსის წარმოებას, ტყის საექსპლუატაციო სამუშაოებსა და მეთევზეობას მნიშველოვანი წვლილი შეაქვს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

კიოტო იაპონიის დედაქალაქი და იმპერატორების სარეზიდენციო ადგილი იყო 794-1868 წლებში. იგი ცნობილია ტაძრებით,

სალოცავებითა და სხვა ისტორიული ძეგლებით და ოფიციალურად აღიარებულია, როგორც ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის საცავი. როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული ქალაქი, კიოტოს ყოველწლიურად მილიონობით იაპონელი და უცხოელი ტურისტი სტუმრობს. 1994 წელს მსოფლიო მემკვიდრეობათა ნუსხას დაემატა ძველი კიოტოს ისტორიული მონუმენტების სია.

დასავლეთ იაპონიის ფინანსური ცენტრია ოსაკა. გარდა ამისა, იგი არის ქიმიკატების, დანადგარების, ფოლადისა და რკინის მრეწველობის ინდუსტრიული ცენტრი.

ორივე ტოკაიდო შინკანსენისა და სანოო შინკანსენის მატარებლების (ტოკიოდან მომავალი რამოდენიმე მატარებლის გარდა) გასვლა და დაბრუნება ხდება ოსაკას სადგურში ჰაკატას, კიუმუს ან ჰიროშიმას გავლით.

კიოტოს პრეფექტურის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ კინკის რეგიონში მდებარეობს იაპონიის სამი ულამაზესი ხედიდან ერთერთი - ამანოჰაშიდატეს ქვიშის სანაპირო. იგი გამოირჩევა კუთხოვნი ფორმით დარგული 6000-ზე მეტი ფიჭვის ხის სილამაზით. კინკის რეგიონში შედის კანსაი, რომელიც განსაზღვრავს იმ არეას, რომელიც მდებარეობს ოსაკას, კიოტოს და კობეს შორის. მიუხედავად კინკის საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული საზღვრებისა და ოფიციალური გეოგრაფიული დანიშნულებისა, კანსაი გზვდება განსხვავებულ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში და ხშირად კანტოს საწინააღმდეგოდ. მაგალითად, მიიჩნევა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საუბრობს კანსაის აქცენტით.

## ჩიუგოკუს რეგიონი



ასოს მთა კუმამოტოს პრეფექტურაში

ჩიუგოკუს მთაგორიანი რეგიონი გარს ევლება ჰონშიუს კონცხის დასავლეთ ნაწილს და გამოირჩევა მცირე აუზებითა და ზღვისპირა დაბლობებით. ხმელეთის შიგნით განლაგებული ზღვის სანაპირო ზოლის ნაწილი მრეწველობისა და კომერციის მნიშვნელოვანი ცენტრი და ამ რეგიონის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პუნქტია.

ბრინჯის კულტურით დაფარული ვრცელი ტერიტორიები თავმოყრილია იაპონიის ზღვისა და ოკაიამას დაბლობზე. ამასთან, ზღვის სანაპიროსთვის დამახასიათებელი მშრალი და თბილი კლიმატი იდეალურ გარემოს ქმნის ფორთოხლის უხვი მოსავლის მისაღებად.

იაპონიის სამი ყველაზე შთამბეჭდავი ადგილიდან მესამე გახლავთ იგუკუშიმა, რომელიც ასევე ცნობილია მიიაიჯიმას სახელით და წარმოადგენს ჰიროშიმას პრეფექტურაში მდებარე კუნძულს. მისი ცნობილი ტორის კარიბჭით, რომელიც ყურეში დგას, იგუკუშიმას სალოცავი 1996 წლიდან შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

იაპონიის ორი ქალაქი - ჰიროშიმა ჩიუგოკუს რეგიონში და ნაგასაკი კიუშუს რეგიონში - მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბომბა ატომური ბომბით. მშვიდობის მემორიალური პარკის გვერდით ჰიროსიმაში დგას ატომური ბომბის ნარჩენი, რომელიც 1996 წლიდან შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

## შიკოკუს რეგიონი

შიკოკუ (იაპონიის ოთხი ძირითადი კუნძულიდან ყველაზე პატარა კუნძული) სხვა მიმდებარე მცირე ზომის კუნძულებთან ერთად შეადგენს შიკოკუს რეგიონს და გადაჭიმულია ხმელეთს შიგნით მოქცეული ზღვის გასწვრივ. აქ მაღალი და ციცაბო კლდეების გამო ვერ ვითარდება სოფლის მეურნეობა, რის გამოც რეგიონი ნაკლებადაა დასახლებული. ასევე სამრეწველო რესურსებიც ძალიან მწირია. აღსანიშნავია ჯაჭვის ორი ხიდი (ცეტო ოკაში), რომელიც შიკოკუს ჰონშიუსთან აკავშირებს. წყნარი ოკეანის მხარეს შიკოკუს კლიმატი სუბტროპიკულია.

ჰიოგოს პრეფექტურაში მდებარე ნარუტოს სრუტე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ტოკუშიმას პრეფექტურასა და ავაჯიშიმას, ცნობილია განიერი მორევით, იგივე ნარუტოს მორევით.

## კიუშიუს და ოკინავას რეგიონი

ოთხი მთავარი კუნძულიდან უკიდურეს სამხრეთით მდებარე კუნძული კიუშიუ და მისი მიმდებარე 1400-მდე მცირე ზომის კუნძული წარმოდგენილია კიუშიუს რეგიონის სახით.

კიუშიუს ლანდშაფტი მთაგორიანია. გამოირჩევა ზღვისპირა დაბლობებით, ვულკანებითა და ცხელი წყაროების სიმრავლით. დამახასიათებელია სუბტროპიკული კლიმატი. განვითარებულია სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა, მეღორეობა და თევზჭერა. კიტა-კიუშიუს ინდუსტრიულ ზონაში განვითარებულია მძიმე და ქიმიური მრეწველობები.

კიუშიუ ჰონშიუს უკავშირდება საავტომობილო და სარკინიგზო ხიდებისა და წყალქვეშა გვირაბების საშუალებით. ჰაკატას სადგური ფუკუოკას პრეფექტურაში სანოო შინკანსენის ბოლო გაჩერებაა. რეგიონის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ბეჰუ-ცხელი წყაროებით განთქმული საკურორტო ქალაქი ოიტას პრეფექტურაში და საკურაჯიმა კაგოშიმას პრეფექტურაში. ოკინავას პრეფექტურა შედგება კიუშიუს სამხრეთით განფენილი 60-მდე კუნძულისგან. XVII საუკუნის ბოლომდე ოკინავა, ძველი სახელწოდებით კი *რიუკიუ*, იყო დამოუკიდებელი სამეფო, რომელსაც ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი დიალექტი და კულტურული ტრადიციები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1972 წლამდე კუნძული ამერიკის ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ოკინავაში მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნებული თბილი კლიმატი, რის გამოც განვითარებულია საზღვაო სპორტის სახეობები. აქ შემოსავლის ძირითადი წყარო ტურიზმია; ოკინავა მიმზიდველია მისი ულამაზესი კუნძულებით, კერძოდ, იშიგაკი-ჯიმა და მიიაკო-ჯიმა განთქმულია ცნობილი მარჯნის რიფებით.